დასკვნა

ქ.თბილისი. სოფ. დიღომი, ნაკვეთი №01.72.035.440 მრავალფუნქციური შენობის მომიჯნავედ არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასაება

ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, ნაკვეთი №01.72.035.440-ში უნდა განხორციელდეს შ.პ.ს. "ლუმაქ ჯგუფი"-ს მიერ შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მრავალფუნქციური ხუთ სართულიანი ნაგებობის მშენებლობა.

სოფ. დიღომი, ნაკვეთი №01.72.035.440 –ის მომიჯნავედ, ერთი მხრიდან განთავსებულია, ერთსართულიანი ავტოტექმომსახურეობის შენობა (სურ.1), ხოლო მეორე მხრიდან განთავსებულია საცხოვრებელი 8 - 9 სართულიანი შენობა სარდაფით (სურ.2).

ვიზუალური დათვალიერებით როგორც ერთსართულიან ავტოტექმომსახურეობის შენობაში, ისე 8 - 9 სართულიან საცხოვრებელ შენობაში ბზარები, დეფორმაციები ან სხვა სახის თვალით შესამჩნევი დაზიანებები არ შეინიშნება.

ავტოტექმომსახურეობის შენობის საძირკვლები ჩაღრმავებულია მიწის დონიდან 70 სმ სიღრმეზე, ხოლო 8 - 9 სართულიანი საცხოვრებელი შენობას გგაჩნია სარდაფი, რომელიც მიწის ზედაპირიდან ჩაღრმავებულია 3,5 მ სიღრმეზე. საპროექტო ნაგებობის საძირკვლის ძირი მიწის დონიდან ჩაღრმავებულია 3,2 მ სიღრმეზე, ამასთან იგი მოცილებულია როგორც ავტოტექმომსახურეობის შენობიდან, ისე 8 - 9 სართულიან საცხოვრებელი შენობიდან 3 მ მანძილზე.

შ.პ.ს. "ლუმაქ ჯგუფი"-ს მიერ შესრულებული კონსტრუქციოული ნაწილის საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, ახალი ნაგებობის პროექტირებისას დაცულია სამშენებლო ნორმებისა დაწესების "შენობების და ნაგებობების ფუძეები" (ᲡᲜ 02.01-08), მუხლი 10, პუნქტი 5-ის მოთხოვნები.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.თბილისი. სოფ. დიღომი, ნაკვეთი №01.72.035.440-ში ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოები არ იქონიებს უარყოფით გავლენას მათ მომიჯნავედ არსებულ ნაგებობებზე.

კონსტრუქტორი: ლ.ზამბახიძე



სურ.1 მომიჯნავე ერთსართულიანი ავტოტექმომსახურეობის შენობა



სურ.2 მომიჯნავე საცხოვრებელი 8 - 9 სართულიანი შენობა სარდაფით